

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N75 ბინაზე,
მოქალაქე სონია მანაგაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩის N12 საცხოვრებელი სახლის N75 ბინაში მცხოვრები მოქალაქე სონია მანაგაძის წარმომადგენლის თეონა ხურციდის განცხადებები /2013 წ. 30.04 №-5266, 28.05 №-5941/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N75 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე სონია მანაგაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N75 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სონია მანაგაძეს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N75 ბინაზე /საერთო ფართობი 36.39 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 16.80 კვ.მ. დამხმარე ფართობი 19.59 კვ.მ./ მოქალაქე სონია მანაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე